

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 42

ქ. თბილისი

05.10.2018

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის თავმჯდომარე, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სხდომის მდივანი;

თეო ურუშაძე - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დეკანი, პროფესორი;

სოფიკო ლობჯანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი;

გელა გელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ელეთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;

გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;

ირინა გოცირიძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

გიორგი თურქია - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი;

ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

ნინო შიოშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს საქართველოს უნივერსიტეტი:

ჯონი მწარიაშვილი - უნივერსიტეტის ავტორიზაციის განყოფილების უფროსი;

არჩილ ჯანგირაშვილი - უნივერსიტეტის აკრედიტაციის განყოფილების უფროსი;

მაია ამაშუკელი - ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი;

ნათია გოლიაძე - ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

გიორგი ლომიძე - ეკონომიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:
სოფიო ხუნდაძე;
ანა მიხელიძე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა. ამავე მუხლის საფუძველზე, სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დაეკისრა ლევან გორდეზიანს.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. ცენტრის აკრედიტაციის სამმართველოს უფროსმა მათა გელაშვილმა განაცხადა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-3 და მე-4 საკითხების განხილვა გადაიდო, რადგან აღნიშნულ პროგრამებზე აკრედიტაციის ვიზიტის დროს მყოფი ექსპერტები ვერ ახერხებდნენ საბჭოზე დასწრებას.

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო დასახელება	პროგრამის	ბიზნესის ადმინისტრირება
კვალიფიკაციის დონე		მე-6 დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკლავრი, 02
სწავლების ენა		ინგლისური
კრედიტების რაოდენობა		240

საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

ცენტრის აკრედიტაციის სამმართველოს უფროსმა მაია გელაშვილმა განაცხადა, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ჰაინც-ულრიხ შმიდტი, სამწუხაროდ, ვერ შეძლებდა სკაიპით ჩართვას. ადგილობრივმა ექსპერტებმა საბჭოს წევრებს გააცნეს მათ მიერ საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:

- დაწესებულებამ უნდა განიხილოს რამდენიმე კურსის თანმიმდევრობის შეცვლის საკითხი (იხ. ქვემოთ თავი 2.2);
- დაწესებულებამ უნდა განიხილოს ბუღალტრული აღრიცხვის კონცენტრაციის გამდიდრების და მასში ზოგიერთი კურსის ჩანაცვლების საკითხი (იხ. ქვემოთ თავი 2.2);
- უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების შეფარდება თითოეულ კურსში იყოს ჯეროვანი.
- დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს, რომ ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის მოთხოვნა სრულდებოდეს.
- დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს, რომ სტაჟირება ტარდებოდეს სათანადო რეგულირებების შესაბამისად.
- დაწესებულებამ უნდა გადახედოს სწავლების გამოყენებული მეთოდების შესაბამისობას სწავლის განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებაში.
- დაწესებულებამ უნდა განიხილოს სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის გამდიდრების საკითხი.

▪ დაწესებულებაში მოახდინეთ სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის გამოხმაურებების ფორმალიზება.

საბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს და სთხოვა რეკომენდაციებთან და რჩევებთან დაკავშირებით ესაუბრა.

დაწესებულების წარმომადგენელი, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ ძალიან მომხადებული და კვალიფიციური ექსპერტთა ჯგუფი იყო ვიზიტზე. ასევე, სხდომას წარუდგინა დაწესებულების სხვა წარმომადგენლებიც.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნათია გოლიაძემ, გააგრძელა საუბარი რეკომენდაციებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ თანმიმდევრობით მიჰყვებოდა რეკომენდაციებს. ზოგიერთი მეორედბოდა მაგისტრატურის პროგრამის დასკვნაშიც იყო, ამიტომ ისაუბრებდა ორივე საფეხურზე, ორჯერ, რომ არ განმეორებულიყო საკითხები. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა ისეთ კურსებს, რომლებიც სერთიფიცირებული ბუღალტერთა ასოციაციის მიხედვით ისწავლებოდა (ACCA) აუდიტის საფუძვლები და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. აღნიშნული კურსები უნივერსიტეტში იკითხებოდა საპირისპირო თანმიმდევრობით რეკომენდაცია ეხებოდა სწორედ იმას, რომ ACCA-ის მოთხოვნების მიხედვით ყოფილიყო საგნები დალაგებული. აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტეს, რომ ACCA არ ავალდებულებდა ზემოაღნიშნული საგნების თანმიმდევრობას და მათ შეეძლოთ ცვლილება. სტუდენტებიც უპრობლემოდ აბარებდნენ აღნიშნულ საგნებს და ფიქრობდნენ, რომ დაეტოვებინათ იმ ფორმით პროგრამაში როგორც ქონდათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გააგრძელა მეორე რეკომენდაციაზე საუბარი, რომელიც ეხებოდა კონცენტრაციებს. მან აღნიშნა, რომ ისინი კონცენტრაციებში სპეციალობას არ ანიჭებდნენ. კონცენტრაციებში იგულისხმებოდა შინაარსობრივად დალაგებული საგნები. სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ თავიანთი ინტერესის სფეროს მიხედვით აერჩიათ საგნები. მათ ჰქონდათ ფინანსებისა და ბუღალტერიის კონცენტრაცია, რომელსაც უშუალოდ შეეხებოდა რეკომენდაცია, ექსპერტებმა მიუთითეს გამრავალფეროვნებისთვის დაემატებინათ რამდენიმე საგანი, რაზეც უნივერსიტეტი თანხმდებოდა და მიმდინარე წელს დაამატებდნენ კურსებს.

რაც შეეხებოდა შემდეგ რეკომენდაციას, იგი ეხებოდა სტუდენტებთან საკონტაქტო და არა საკონტაქტო საათების თანაფარდობას. კერძოდ, ექსპერტების მიერ მოთხოვნა იყო გაზრდილიყო ძირითად კურსებში საკონტაქტო საათები. აღნიშნული მიმართულებითაც მიიღეს რეკომენდაცია და აღნიშნეს, რომ მათ შეეძლოთ 30%-ით გაეზარდათ საკონტაქტო საათი. სტუდენტებს 7 კურსი უკვე შეთავაზებული ჰქონდათ უფრო მეტი საკონტაქტო საათით.

საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა, იკითხა, თუ როგორ ჰქონდათ იქამდე საკონტაქტო საათები გადანაწილებული, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ კვირაში 5 დამოუკიდებელ საათზე 2 საკონტაქტო საათი ჰქონდათ გამოყოფილი, თუმცა როგორც აღნიშნეს, გაიზრდებოდა 30%-ით და პროპორცია შეიცვლებოდა. მათემატიკის სასწავლო კურსში ისედაც 3 საათი ჰქონდათ და იქაც დაამატებდნენ 1 საათს.

საბჭოს თავმჯდომარემ, იკითხა საკონტაქტო საათების დამატება თუ გამოიწვევდა კრედიტების გაზრდას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ალბათ არ გამოიწვევდა.

საუბარი ჰქონდათ იმაზეც, რომ კრედიტი შესაბამისი იყო, უბრალოდ საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების თანაფარდობა თუ შეიცვლებოდა კიდევ უფრო კარგი იქნებოდა.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ მიმართა დაწესებულებას და განაცხადა შემდეგი, გასაგები იყო ის ფაქტი, რომ კრედიტების გაზრდას არ გამოიწვევდა, მაგრამ არ შეიძლებოდა კრედიტები ყოფილიყო ყველა საგანში თანაბარი. მისი თხოვნა და რჩევა იყო, საგნის შინაარსიდან გამომდინარე მომხდარიყო კრედიტების სწორად განაწილება სწავლების სხვადასხვა საფეხურზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ არ ჰქონდათ პრობლემა, რომ ყოფილიყო სხვადასხვა კრედიტები, მაგრამ სტუდენტები ზარალდებოდნენ. მათ ჰქონდათ საუბრები სტუდენტებთან და ისინი აღნიშნავდნენ, რომ არათანაბარი გადანაწილება იწვევდა გადაჭარბებას. შესაბამისად გადაწყვიტეს, მასალიდან გამომდინარე განესაზღვრათ კრედიტების ერთნაირი რაოდენობა. აღნიშნულ მოსაზრებას დაკავშირებით არ დაეთანხმა საბჭოს წევრი გიორგი თურქია. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, ასევე, დაამატა, რომ მას უნდოდა სხვადასხვა კრედიტების მინიჭება საგნებზე, თუმცა სამომავლო ცვლილებების გამო ვერ მოახერხეს.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა მიმართა დაწესებულებას და ურჩია, რომ კრედიტები ზოგადად არათანაბრად გაენაწილებინათ, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ ჰქონდათ ადრე კრედიტების არათანაბარი განაწილება, მაგრამ სტუდენტები უფრო კმაყოფილები იყვნენ კრედიტების თანაბარი განაწილებით, აღნიშნულ საკითხებზე იფიქრებდნენ და მომავალში შესაძლოა შეეცვალოთ.

დაწესებულების წარმომადგენელი გადავიდა შემდეგ რეკომენდაციაზე, რომელიც ეხებოდა ინგლისური ენის ცოდნის დონეს. მათ მიიღეს რეკომენდაცია და აღნიშნა, რომ ჰქონდათ ორი კურსი გათვალისწინებული საბაკალავრო პროგრამაზე და გადანაწილებდნენ ისე, რომ სტუდენტები ერთი წლის განმავლობაში დახურავდნენ B2 დონეს სრულად.

საბჭოს წევრმა, ლევან გორდეზიანმა იკითხა, ინგლისური ენის ცოდნის რა დონით მიდიოდნენ სტუდენტები, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ B1 დონით და შემდეგ გადიოდნენ B2 დონეს უნივერსიტეტში.

საბჭოს წევრმა, აღნიშნულთან დაკავშირებით მიმართა დაწესებულებას, რა ხდებოდა იმ შემთხვევაში თუ ინგლისურენოვანი სტუდენტი მივიდოდა აღნიშნულ პროგრამაზე, აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მას შეეძლო აღარ გაეგლო ინგლისური B2 დონე და აერჩია სხვა საგანი.

საბჭოს წევრმა მიმართა დაწესებულებას, რამდენად შეძლებდა სტუდენტი B2 დონით ლიტერატურის გაგებას, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ლიტერატურა მარტივიდან რთულისკენ აღმავალი პრინციპით იყო დალაგებული, ამიტომ პრობლემას არ იწვევდა აღნიშნული. უცხოელი სტუდენტები, რომლებიც მიდიოდნენ და არ გააჩნდათ ინგლისური ენის შესაბამისი ცოდნა, ისინიც იწყებენ b1 დონიდან სწავლას. სახელმძღვანელოებიც მარტივი ენით იყო დაწერილი. იმ შემთხვევაში თუ, ვერ დაძლევა სტუდენტი მასალას, ჯერ გაივლიდა ენის მოსამზადებელ ერთსემესტრიან კურსს.

უნივერსიტეტის წარმომადგენელი გადავიდა შემდეგ რეკომენდაციაზე, რომელიც ეხებოდა ასარჩევი კურსების ფარგლებში სტაჟირებას, მის გამარტივებასა და ფორმალიზებას. მათ ჰქონდათ სტაჟირება იმგვარად, რომ როდესაც პოტენციური დამსაქმებელი სტუდენტს ასაქმებდა, აღნიშნული იგულისხმებოდა ასარჩევი საგნის კრედიტის ფარგლებში. გარე ექსპერტი ანუ დამსაქმებელი აფასებდა სტუდენტის უნარებს. სტუდენტს შეეძლო გაეკეთებინა პრეზენტაცია, მასვე მიჰქონდა ანგარიში უნივერსიტეტში, სადაც იყო იმ აქტივობებისა და საქმიანობის ჩამონათვალი, რაც გააკეთა იმ პერიოდში პოტენციურ სამუშაო ადგილას. დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ ფორმალიზებასთან დაკავშირებით რეკომენდაცია გაითვალისწინეს რაშიც იგულისხმებოდა რომ სამუშაოების აღწერის გადაიტანა სწავლის დასაწყისში. შესაბამისად, სტუდენტი ვერ შეძლებდა დარეგისტრირებას სტაჟირების საგანზე სანამ არ მიიტანდა პოტენციური დამსაქმებლისგან იმ პერიოდისთვის გასაკეთებელი საქმიანობის ნუსხას. უნივერსიტეტიდან ხელმძღვანელი შეადარებდა სილაბუსის მიხედვით შედეგებთან შესაბამისობას და მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიშვებოდა სტუდენტი სტაჟირების საგანზე. აღნიშნული რეკომენდაცია გაითვალისწინეს და შემდეგი სემესტრიდან ცვლილებასაც ასახავდნენ.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჯანიძემ, მიმართა კითხვით დაწესებულებას, სტაჟირებას უნივერსიტეტი უზრუნველყოფდა, თუ როგორ ხდებოდა ეს პროცესი, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სტაჟირებას უნივერსიტეტიც უზრუნველყოფდა მემორანდუმების საფუძველზე და სტუდენტს თავადაც შეეძლო მოეძია კომპანია სტაჟირებისთვის. საბჭოს წევრმა სოფიკო ლობჯანიძემ აღნიშნა, რომ რადგან სტაჟირების კოორდინატორი ჰყავდათ მასვე მიეხედა აღნიშნული პროცესებისთვის.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჯანიძემ, იკითხა რა პასუხისმგებლობა ჰქონდათ კომპანიების წარმომადგენლებს, სადაც სტუდენტები გადიოდნენ სტაჟირებას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ რა აქტივობებსაც პირდებოდნენ ის უნდა გაეკეთებინათ. შეთანხმება ხდებოდა წინასწარ სტაჟირების ხელმძღვანელსა და სტაჟირების მენტორს შორის.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჯანიძემ აღნიშნა, რომ სტაჟირების სახელწოდების მაგივრად უმჯობესი იქნებოდა პრაქტიკა დაერქმიათ. ასევე, მისი ინტერესი იყო ვინ აფასებდა პრაქტიკულ ნაწილს, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პრაქტიკულ ნაწილს აფასებდა საბოლოოდ უნივერსიტეტიც და სტაჟირების მენტორიც. უნივერსიტეტს შემუშავებული ჰქონდა შეფასების ფორმა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელი გადავიდა შემდეგ რეკომენდაციაზე, რომელიც ეხებოდა სწავლისა და სწავლების მეთოდებს, მან, ასევე განმარტა, რომ რეკომენდაციაშივე იყო აღნიშნული ექსპერტების მიერ იმ ნაწილის შესაბამისობა, თუმცა აღნიშნული ეხებოდა რამდენიმე სილაბუსს. კონკრეტულად, მათ ჰქონდათ რამდენიმე სწავლის მეთოდი, რომელსაც აქტიურად იყენებდნენ თითქმის ყველა სილაბუსში. კერძოდ: ლექცია სემინარის, ახსნა-განმარტების, დემონსტრირებისა და დისკუსიის მეთოდები, რადგანაც მათ ჰქონდათ სემინარული ტიპის სწავლება აღნიშნული მეთოდები ყველა საგანში გამოიყენებოდა. საჭიროების შემთხვევაში კი გამოიყენებდნენ სხვა მეთოდებსაც. რეკომენდაცია ეხებოდა იმას, რომ არ ყოფილიყო შაბლონური სახის და ყველგან ერთნაირი. თუმცა, დაწესებულების წარმომადგენელი ფიქრობდა, რომ შეიძლებოდა ყოფილიყო 8 სწავლების მეთოდი იქიდან გამოიყენებინათ 4 ძირითადი და დანარჩენი საჭიროების შემთხვევაში, რაც არ შექმნიდა არანაირ პრობლემას.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჯანიძემ აღნიშნა, რომ ნაწილობრივი შეფასება შეუსაბამო იყო იმ ნაწილში. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ექსპერტმა ანა მიხელაძემ განმარტა, რომ პრობლემას წარმოადგენდა ყველა სილაბუსში შაბლონურად ჩამოთვლილი 10-12 სწავლის მეთოდი. გამომდინარე იქედან რეკომენდაცია იყო იმ მიზნით, რომ თითოეულ საგანზე ინდივიდუალურად ყოფილიყო კონკრეტული მეთოდები შერჩეული და გამოყენებული. ასევე, ექსპერტმა განმარტა, რომ სტუდენტებთან და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს ყველამ აღნიშნა, რომ 12 მეთოდიდან იყენებდნენ მხოლოდ 3 ან 4 მეთოდს. უნივერსიტეტის წარმომადგენელი არ დაეთანხმა აღნიშნულს და განმარტა, რომ ის შაბლონურობა საშუალებას აძლევდა მათ გამოეყენებინათ მათთვის სასურველი მეთოდი და თუ რომელიმე არარელევანტური იყო ჩამოთვლილთაგან, იმ შემთხვევაში დაეთანხმებოდნენ რეკომენდაციას. შესაბამისად თვლიდნენ, რომ შესაცვლელი აქ არაფერი არ იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა შემდეგ რეკომენდაციაზე, რომელიც ეხებოდა ბუღალტერიის იმ კურსებს, რომლებიც ისწავლებოდა ACCA -ს მიხედვით. ძირითად ლიტერატურად მითითებული ქონდათ ACCA-ს სახელმძღვანელოები. ექსპერტების რჩევა კი იყო დაემატებინათ სხვა სასწავლო მასალებიც, რაც დაწესებულებისთვის მისაღები იყო და გაითვალისწინებდნენ.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ბოლო რეკომენდაციაზე, რომელიც მაგისტრატურის საფეხურზე მეორდებოდა, დაკავშირებული იყო პროგრამის შემუშავებისა და შეფასების მექანიზმთან, კერძოდ: კვლევების შედეგების გავრცელებასა და უკუკავშირთან. აღნიშნული რეკომენდაციაც მისაღები იყო დაწესებულებისთვის და პროგრამის შემუშავებისა და შეფასების მექანიზმში დაამატებდნენ კომპონენტს, რომელიც დაავალდებულებდა ადმინისტრაციას, რომ კვლევის შედეგები გარკვეული ფორმებით გაეგვრცელებინათ აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებთან შიდა ონლაინ სისტემით, მეილებით, შეხვედრებით და სხვა საშუალებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გაგრძელა რეკომენდაციების შესახებ საუბარი და აღნიშნა, რომ რამდენიმე მეორდებოდა ორივე საფეხურზე, რაზეც ისაუბრეს და შესაბამისად გაითვალისწინებდნენ, როგორც ბაკალავრიატზე ისე მაგისტრატურაში.

აღნიშნული გარემოებებიდან და უნივერსიტეტის მიერ არგუმენტირებული მსჯელობიდან გამომდინარე, საბჭომ იმსჯელა, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე ექსპერტთა მიერ წარმოდგენილ დასკვნაში მითითებულ მეორე სტანდარტის ნაწილობრივ შესაბამისობაზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი შესაძლოა შეფასებულიყო, როგორც მეტწილად შესაბამისი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისი №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 1 წელი ექსპერტთა ჯგუფისა და საბჭოს მიერ მიცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად დოკუმენტაციასთან ერთად.

საბჭოს რეკომენდაციები:

- გადაიხედოს და შეიცვალოს საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების თანაფარდობა;
- საგნის შინაარსიდან გამომდინარე მოხდეს კრედიტების სწორად განაწილება სწავლების სხვადასხვა საფეხურზე, ზოგადად არათანაბარი გადანაწილებით;
- შეიცვალოს სტაჟირება პრაქტიკის სახელწოდებით;
- თითოეულ საგანზე კონკრეტულად გამოიყოს შესაბამისი სწავლის მეთოდები.

2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო დასახელება	პროგრამის	ბიზნესის ადმინისტრირება
კვალიფიკაციის დონე		მე-7 დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი, 02
სწავლების ენა		ინგლისური
კრედიტების რაოდენობა		120

საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

ექსპერტებმა საბჭოს წევრებს გააცნეს მათ მიერ სამაგისტრო პროგრამაზე შემუშავებული რეკომენდაციები:

- სამაგისტრო პროგრამა სტუდენტთა მისაღები ინტერვიუ ფოკუსირებული უნდა იყოს მსგავსი აკადემიური გამოცდილების მქონე სტუდენტთა ჩარიცხვის უზრუნველყოფაზე;
- დაწესებულებამ უნდა განიხილოს რამდენიმე კურსის თანმიმდევრობის შეცვლის საკითხი (იხ. ქვემოთ თავი 2.2);
- დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს, რომ საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების შეფარდება თითოეულ კურსში იყოს ჯეროვანი;
- უნდა გადაიხედოს სწავლების გამოყენებული მეთოდების შესაბამისობას სწავლის გათვალისწინებულ შედეგებთან მიმართებაში.
- დაწესებულებამ უნდა განიხილოს სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის გამდიდრების საკითხი (იხ. ქვემოთ თავი 2.3).
- დაწესებულებამ უნდა მოახდინოს სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის გამოხმაურებების ფორმალიზება.

საბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს და სთხოვა რეკომენდაციებთან და რჩევებთან დაკავშირებით ესაუბრათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პირველი რეკომენდაცია ეხებოდა მაგისტრატურის საფეხურზე დაშვების წინაპირობის ფორმალიზებას. ასევე აღნიშნა, რომ დაშვების წინაპირობები სრულიად გამჭვირვალე და სამართლიანი იყო. ძირითადად გასაუბრება ეხებოდა მოტივაციის ინტერესების გამოვლენას და ტარდებოდა ინგლისური ენის ტესტი ცოდნის დასადგენად. დაწესებულებამ მიიღო რეკომენდაცია და წინასწარ გააკეთებდნენ თემების ჩამონათვალს, რომლიც შემდეგში ვებგვერდზე დაიდებოდა და სტუდენტებისთვის იქნებოდა ხელმისაწვდომი, რაც უფრო ფორმალიზებულს გახდიდა გასაუბრებას.

შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა სტრატეგიული მენეჯმენტის კურსს, რომელიც მაგისტრატურაში ისწავლებოდა მეორე სემესტრში და ექსპერტების მოსაზრებით კარგი იქნებოდა მესამე სემესტრში გადაეტანათ იმის მერე, როდესაც სტუდენტი გაივლიდა საზოგადოებასთან ურთიერთობის, რეკლამისა და ადამიანური რესურსების კურსებს. აღნიშნული რეკომენდაცია არ გაითვალისწინა დაწესებულებამ იმის გამო, რომ პირველ სემესტრში სტუდენტებს უკვე გავლილი ჰქონდათ მარკეტინგის მენეჯმენტის, მენეჯერული ეკონომიკისა და ფინანსური ოპერაციათა აღრიცხვის მენეჯმენტის კურსები და სტრატეგიულის დაძლევა მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებს აღარ გაუჭირდებოდა. გარდა ამისა, არჩევით საგნებში მრავალფეროვანი კურსები ჰქონდათ შეთავაზებული და თუ მესამე სემესტრში სტრატეგიული მენეჯმენტი გადაინაცვლებდა არჩევითი კურსები წინაპირობებიდან გამომდინარე შეიძლებოდა შეცვლილიყო. ამიტომ, როგორც იყო ფიქრობდნენ დაეტოვებინათ იმავე სახით.

დაწესებულების წარმომადგენელი გადავიდა შემდეგ რეკომენდაციაზე, რომელიც ეხებოდა საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და აღნიშნა, რომ ისევე როგორც ბაკალავრიატის საფეხურზე გაითვალისწინეს, მეორე საფეხურზეც მოხდებოდა მიღება აღნიშნული რეკომენდაციისა. ასევე, დამატებით აღნიშნა, რომ სწავლის მეთოდებთან და პროგრამის შემუშავებისა და შეფასების მექანიზმთან დაკავშირებით იგივე რეკომენდაციები მეორდებოდა მაგისტრატურის საფეხურზეც, რომლებიც მისაღები იყო და გაითვალისწინებდა დაწესებულება ორივე საფეხურზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გააგრძელა საუბარი და სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით განმარტა, რომ მათ ჰყავდათ სტუდენტების მცირე ჯგუფები და მასალის მიწვდის შემდეგ აკეთებდნენ უკუკავშირს, წინააღმდეგ შემთხვევაში არ აგრძელებდნენ ლექციას. ასევე, დაწესებულების წარმომადგენლები მუდმივად დადიოდნენ ტრენინგებზე და ეცნობოდნენ სიახლეებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა, იკითხა ჯგუფში რამდენი სტუდენტისგან შედგებოდა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ 12 ან 14 ადამიანისგან შედგებოდა ჯგუფები, რომელიც მათთვის მისაღები იყო. ასევე დაამატა, რომ ხანდახან უკუკავშირი რთული პროცესი იყო, რადგან გულწრფელად არ ამბობდნენ სტუდენტები რა ვერ გაიგეს ახსნილი მასალიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა ვინმეს რაიმე კითხვა ხომ არ ჰქონდა, რაზეც დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ კომენტარის გაკეთება სურდა სწავლის მეთოდებთან დაკავშირებით. მან განმარტა, რომ სწავლის მეთოდები იყო აუცილებელი და მის გარეშე ლექცია ვერ ჩატარდებოდა, ასევე, მრავალფეროვანი ჩამონათვალიც მხოლოდ იმიტომ იყო, რომ ლექტორს ჰქონოდა საშუალება, აერჩია მისთვის სასურველი მეთოდი კონკრეტულ მომენტში. ყველა ჩამოთვლილი მეთოდი გადიოდა შედეგზე. შესაბამისად, ვერ მიიღებდნენ იმ შეფასებას, რაც ექსპერტებს ჰქონდათ სტანდარტის იმ ნაწილში.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტმა განმარტა, რომ ლექტორებს ჰკითხეს იკითხეს რამდენად იყენებდნენ აღნიშნულ მეთოდებს, მათ აღნიშნეს, რომ ის იყო შაბლონური ჩამონათვალი და მხოლოდ 3 ან 4 მეთოდს თუ იყენებდნენ. რეკომენდაციაც იმას ეხებოდა, რომ უფრო დაეზუსტებინათ და დაეკონკრეტებინათ, რათა აღარ ჰქონოდა შაბლონური სახე.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჯანიძემ, იკითხა, რატომ შეაფასეს ისე მკაცრად, რომ ნაწილობრივი შეფასება მიუთითეს მეორე სტანდარტის ერთ-ერთ კომპონენტში, რადგან აღნიშნული რაზეც ისაუბრეს იყო უფრო რჩევა და არა რეკომენდაცია. რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ იქ იყო სხვა რეკომენდაციებიც, მაგალითისთვის დაასახელა კონცენტრაციები, რომლებიც სრულიად იდენტური იყო. შეფასება იყო მთლიანობაში და არა იმ კონკრეტულ ნაწილზე.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ კონცენტრაციები ფინანსებსა და ბუღალტრულ აღრიცხვაზე იყო ერთნაირი. ამიტომ უმჯობესი იქნებოდა ან ერთი ყოფილიყო ან მეორე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებობდა სასერტიფიკატო გამოცდები CFA ფინანსისტი და ACCA ბუღალტრისათვის. ორივესთვის რომ გადაეხედათ ნახავდნენ, რომ იქ განსხვავება არაფერი იყო. ფინანსისტი ბუღალტრული ცოდნის გარეშე არ არსებობდა და პირიქით. ის შეფასება შეუსაბამო იყო. რადგან ორივე მომიჯნავე პროფესიებს წარმოადგენდა და ფაქტობრივად ერთნაირს.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა, იკითხა თუ ერთიდაიგივე იყო რატომ ისწავლებოდა ცალ-ცალკე, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა, განმარტა, რომ ფინანსები მთლიანად მოიცავდა ბუღალტერიას, რატომ ისწავლებოდა ცალ-ცალკე მან არ იცოდა. ასევე, დამატებით აღნიშნა, რომ გაამრავალფეროვნებდნენ ორივე მიმართულებას არ ჰქონდათ პრობლემა, ეთანხმებოდნენ გარკვეულ ნაწილში, მაგრამ არა მთლიანად, რადგან ფინანსები და ბუღალტერია იდენტური არ იყო.

საბჭოს წევრმა, ლევან გორდეზიანმა, აღნიშნა, რომ თუ ერთიდაიგივეს სწავლობდნენ ფინანსებში და ბუღალტერიაში, მაშინ ერთად უნდა ესწავლათ, თუ სხვადასხვა იყო პროგრამაში უნდა ნათელი ყოფილიყო მათი განსხვავება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გააგრძელა კონცენტრაციებთან დაკავშირებით საუბარი და აღნიშნა, რომ ისინი კონცენტრაციების გავლისას სპეციალობას არ ანიჭებდნენ და მხოლოდ კონცენტრაცია იყო.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ, ურჩია დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ ადგილობრივი ქეისები მიეცათ სტუდენტებისთვის და არა მხოლოდ ამერიკისა და სხვა ქვეყნების მაგალითებით ეხელმძღვანელათ.

საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 15:07 საათზე.

საბჭოს სხდომა განახლდა 15:29 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისი N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 1 წელიწადი ექსპერტთა ჯგუფისა და საბჭოს მიერ მიცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად დოკუმენტაციასთან ერთად.


საბჭოს რეკომენდაციები:

- გადაიხედოს და შეიცვალოს საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების თანაფარდობა;
- კონცენტრაციები ფინანსები და ბუღალტრული აღრიცხვა გამდიდრდეს სასწავლო კურსებით და გაიმიჯნოს შინაარსობრივად;
- სილაბუსებში დაემატოს შესაბამისი ლიტერატურა;
- მოხდეს ადგილობრივი მაგალითებისა და შემთხვევების განხილვა;
- თითოეულ საგანზე კონკრეტულად გამოიყოს შესაბამისი სწავლის მეთოდები.

15:30 საათზე დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

ირაკლი ბურდული



მდივანი

ლევან გორდეზიანი

